

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №65
2018 წლის 25 დეკემბერი

ქ. ახმეტა

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N29 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017, 190020020.35.162.016416) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამარ ყვინიშვილი

„დანართი

თავი I

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2016 ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12051,9	11 391,2	3 614,9	7 776,2	11,872.0	3,848.1	8,023.9
შემოსავლები	11 840,0	11 319,0	3 614,9	7 704,0	11,812.0	3,848.1	7,963.9
არაფინანსური აქტივების კლება	210,6	72,2	0,0	72,2	60.0	0.0	60.0
გადასახდელები	11 015,6	12 368,1	4 099,1	8 269,0	12,727.6	4,029.7	8,697.9
ხარჯები	6 873,6	6 691,9	78,5	6 613,4	7,525.0	1.9	7,523.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 050,0	5 591,7	3 951,7	1 640,0	5,202.6	4,027.8	1,174.8



ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	1 036,3	-976,9	-484,2	-492,7	-855,6	-181,6	-674,0

მუხლი 2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი სახით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11840,0	11 319,0	3 614,9	7 704,0	11,812.0	3,848.1	7,963.9
გადასახადები	2 055,4	2 023,4	0,0	2 023,4	1,880.0	0.0	1,880.0
გრანტები	8 875,1	8 292,5	3 614,9	4 677,6	8,966.6	3,848.1	5,118.5
სხვა შემოსავლები	909,5	1 003,0	0,0	1 003,0	965.4	0.0	965.4
ხარჯები	6 873,6	6 691,9	78,5	6 613,4	7,525.0	1.9	7,523.1
შრომის ანაზღაურება	1 425,2	1 150,0	0,0	1 150,0	1,629.4	0.0	1,629.4
საქონელი და მომსახურება	747,9	873,9	0,0	873,9	916.0	0.0	916.0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	71,1	0,0	71,1
სუბსიდიები	3 697,3	4 079,0	0,0	4 079,0	4,433.2	0.0	4,433.2
გრანტები	0,0	9,5	0,0	9,5	12.5	0.0	12.5
სოციალური უზრუნველყოფა	678,0	356,7	0,0	356,7	386.6	0.0	386.6
სხვა ხარჯები	325,2	222,8	78,5	144,3	76.2	1.9	74.3



საოპერაციო საღებო	4 966,4	4 627,1	3 536,4	1 090,7	4,287.0	3,846.2	440.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 839,4	5 519,5	3 951,7	1 567,8	5,142.6	4,027.8	1,114.8
ზრდა	4 050,0	5 591,7	3 951,7	1 640,0	5,202.6	4,027.8	1,174.8
კლება	210,6	72,2	0,0	72,2	60,0	0,0	60,0
მთლიანი საღებო	1 127,0	-892,4	-415,3	-477,2	-855.6	-181.6	-674.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 035,0	-976,9	-484,2	-492,7	-855.6	-181.6	-674.0
ზრდა	1 036,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 036,3	0,0					
კლება	1,2	976,9	484,2	492,7	855.6	181.6	674.0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	976,9	484,2	492,7	855.6	181.6	674.0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

თავი II

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11 812,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის	2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა			
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის		
	ფაქტი	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		
შემოსავლები	11840,0	11 319,0	3 614,9	7 704,0	11,812.0	3,848.1	7,963.9
გადასახადები	2 055,4	2 023,4	0,0	2 023,4	1,880.0	0,0	1,880.0
გრანტები	8 875,1	8 292,5	3 614,9	4 677,6	8,966.6	3,848.1	5,118.5
სხვა შემოსავლები	909,5	1 003,0	0,0	1 003,0	965.4	0,0	965.4

მუხლი 4. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1 880.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	2 055,4	2 023,4	0,0	2 023,4	1,880.0	0.0	1,880.0
საშემოსავლო გადასახადი	539,2	320,9	0,0	320,9	280.0	0.0	280.0
ქონების გადასახადი	1 516,2	1 702,6	0,0	1 702,6	1,600.0	0.0	1,600.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 123,9	1 073,0	0,0	1 073,0	1,134.0	0.0	1,134.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4,0	5,0	0,0	5,0	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	333,0	561,8	0,0	561,8	430.0	0.0	430.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	55,2	62,8	0,0	62,8	36.0	0.0	36.0

მუხლი 5. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8 966,6 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	8 798,5	8 292,5	8,966.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8 798,5	8 292,5	8,966.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 223,9	4 677,6	5,118.5
გათანაბრებითი ტრანსფერი	5 093,9	4 547,6	4,988.5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	130,0	130,0	130.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3 574,6	3 614,9	3,848.1



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2 846,8	2 570,1	3,848.1
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	727,8	0,0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0	1 044,8	0.0

მუხლი 6. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 965,4 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2016წლის ფაქტი	2017წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	909,5	1003,0	965.4
შემოსავლები საკუთრებიდან	665,5	778,3	738.4
პროცენტები	69,8	89,6	60.5
რენტა	595,7	688,7	677.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	528,8	635,3	585.9
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	47,7	53,4	92.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	19,2	0,0	0,0
საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია	78,5	77,0	67.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	78,5	46,4	32.0
სანებართვო მოსაკრებელი	60,5	22,7	12.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,4	0,0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,0	0,0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	17,6	23,3	20.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,1	0,0	0.0
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან	0,0	30,6	35.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	165,5	147,5	160.0



თავი III

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 7 525,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6 873,6	6 963,5	80,6	6 882,9	7,525.0	1.9	7,523.1
შრომის ანაზღაურება	1 425,2	1 203,4	0,0	1 203,4	1,629.4	0.0	1,629.4
საქონელი და მომსახურება	747,9	1 006,4	0,0	1 006,4	916.0	0.0	916.0
პროცენტები	0,0	0,0	0,0	0,0	71,1	0.0	71,1
სუბსიდიები	3 697,3	4 121,1	0,0	4 121,1	4,433.2	0.0	4,433.2
გრანტები	0,0	9,5	0,0	9,5	12,5	0,0	12,5
სოციალური უზრუნველყოფა	678,0	391,3	0,0	391,3	386,6	0,0	386,6
სხვა ხარჯები	325,2	231,8	80,6	151,2	76,2	1,9	74,3

მუხლი 8. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 5142.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვროს 5202.6 ათასი ლარის ოდენობით, შემდეგი სახით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	100.4	51.2	161.3
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3318.7	4532.2	4411,0



04 00	განათლება	341.0	468.7	481,8
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	255.8	538.2	118,4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	34.1	1.4	30,1
სულ ჯამი		4050.0	5591.7	5202.6

ბ) არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვროს 60.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
	ფაქტი		
არაფინანსური აქტივების კლება	210.6	72.2	60.0
ძირითადი აქტივები	164.3	29.3	0.0
არაწარმოებული აქტივები	46.3	42.9	60.0
მიწა	46.3	42.9	60.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 953,3	1 793,8	2434.8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 946,9	1 787.8	2350.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 946,9	1787,8	2303.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	50,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	6,4	6,0	6,2
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	6,4	6,0	6,2
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	0,0	0,0	71.1
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	4,5
702	თავდაცვა	77,8	68,8	86.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0



7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	საგანგებო სიტუაციების მართვა	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 945,5	4 038,4	3823,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	870,3	245,3	353,3
70421	სოფლის მეურნეობა	870,3	245,3	353,3
7045	ტრანსპორტი	2145,3	3 793,1	3469,7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 075,3	3 767,6	3469,7
70454	საჰაერო ტრანსპორტი	70,0	25,5	0,0
705	გარემოს დაცვა	430,7	485,4	535,8
7051	ნარჩენების შეროვება, გადამუშავება და განადგურება	430,7	431,2	533,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0,0	54,2	2,8
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 112,5	1156,9	1113,2
7061	ბინათმშენებლობა	325,2	202,9	4,2
7063	წყალმომარაგება	622,8	720,3	835,8
7064	გარე განათება	147,4	154,9	240,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	17,1	78,8	33,2
707	ჯანმრთელობის დაცვა	81,9	71,6	71,6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	81,9	71,6	71,6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 023,6	2 240,6	1874,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	814,6	1049,6	679,9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	879,4	860,2	817,7
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	41,7	37,6	40,0



7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	203,0	183,4	191,4
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	84,9	109,8	145,5
709	განათლება	1 675,2	1872,8	2071,7
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 675,2	1857,0	2071,7
7092	ზოგადი განათლება	0,0	15,8	0,0
710	სოციალური დაცვა	715,1	639,8	717,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	218,8	251,8	268,9
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	218,8	251,8	268,9
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	89,9	82,6	100,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	283,6	266,7	295,3
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	122,8	38,7	52,8
	სულ	11 015,6	12 368,1	12727,6

თავი IV

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 855.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 855.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები 2018-2021 წლებისათვის

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- საინვესტიციო გარემოსა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის ამაღლება;
- კულტურისა და სპორტის განვითარება, რელიგიური რწმენის თავისუფლება და ახლგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.



- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება;

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება და ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზების ზრდა.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

1.2.1. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

1.2.2. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე არსებული სისტემის მოვლა-შენახვა. განხორციელდება სოფლების ჭაბურღილების ენერგო სისტემების მოწყობა და რეგიონალური პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების თანადაფინანსება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- არსებული ქსელის შენარჩუნება 100%-ით.

1.2.3. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოვლა პატრონობის ცენტრი(პროგრამული კოდი (03 02 09) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება დამატებითი ჭაბურღილების მოწყობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია.



1.2.4. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალი ქსელების მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული ტერიტორია

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტის უზრუნველყოფა გარე განათების სისტემებით.

1.2.5. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ მოხდება სანაგვე ურნების შექმნა და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩატარდება დამატებითი ღონისძიებანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, დაცულია მოსახლეობის ჯანმრთელობა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.

1.2.6 ა(ა) იპ კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური. (პროგრამული კოდი 03 02 12)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. დაიგვება ქალაქის ქუჩები, სკვერები. განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან განთავისუფლება. საჭიროებისამებრ სისტემეტიურად გაიწმინდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, როგორც რკინა-ბეტონის ასევე გრუნტის სანიაღვრე არხები.

დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა, ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალი ქსელების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, დაცულია მოსახლეობის ჯანმრთელობა.
- განათებული ტერიტორია.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.
- განათების არსებული ქსელების შენარჩუნება 100%-ით.

1.2.7. სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

გათვალისწინებულია სოფლების სარწყავი ქსელების მოწყობის, რეაბილიტაციისა ხარჯები.

1.2.8. სანიაღვრე არხების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 06)

საჭიროებისამებრ სისტემატიურად გაიწმინდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, როგორც



1.2.9. სპეც ტექნიკის, და სათადარიგო ნაწილების შექმნა (პროგრამული კოდი 03 02 10).

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნის, ტრაქტორის კაპიტალური შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების შექმნის ხარჯები.

1.2.10. სკვერების, ბორდიურების, დასასვენებელი ბაღებისა და მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობისა და რეაბილიტაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ახმეტის სკვერების კეთილ-მოწყობის ხარჯები.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა. ასაკობრივი

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 38 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის განსაზღვრა, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა. ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესებული სააღმზრდელო პირობები;
- ფიზიკურად ჯანმრთელი, სრულყოფილი, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მომავალი თაობის აღზრდა.
- 38 საბავშვო ბაღი მოემსახურება 1500-მდე ბავშვს; დასაქმებული იქნება 310 ადამიანი, აქედან 69-მდე მასწავლებელი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომავალი თაობის მზადყოფნა სკოლაში შესასვლელად.
- მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების დონის ზრდა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული მონაცემების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.



3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. გათვალისწინებულია სტადიონების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2018 წლის განმავლობაში დაფინანსდება სამი სპორტული სკოლა, ესენია:

- აიპ სკოლის გარეშე დაწესებულება ახმეტის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“;
- აიპ „ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა“;
- აიპ „ზურაბ ზვიადაურის სახელობის სასპორტო სკოლა“;

სკოლებში ფუნქციონირებს ძიუდოს, თავისუფალი, ბერძნულ-რომაულის, მკლავჭიდის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, კინზოქსის სექციები და აღნიშნულ სექციებში ჩართულია 700-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტული ღონისძიებებისა და სრულყოფილი სასპორტო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ბავშვებისა და მოზარდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდა.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

3.2.1. ა(ა)პ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 01)

მოხდება ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება კერძოდ,

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია 133688 ცალი წიგნი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე.

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის სახლები (ქ.ახმეტის, ქ.სტაურის, ოჟიოს, ქვ. ალვანის,ზ. ალვანის, მატნის, საკობიანოს, დუისის, ჯოყოლოს, ომალოს). ქვეპროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას.



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი მუზეუმი:

1. რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი, 2. ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 3. პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

აღნიშნული მუზეუმებისათვის სისტემეტიურად ხდება სამუზეუმო ექსპონატების მოძიება-მატება, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ქრონოლოგიური პერიოდულობით დალაგება და კლასიფიკაცია.

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული ეპოქის 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხარჯები.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „ბახტრიონი“ და ანსამბლი „პანკისი“.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული წიგნის ფონდის შენარჩუნება და განახლება;
- მკითხველისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- მკითხველთა რაოდენობის ზრდა.
- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

3.2.2. კლუბები (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქვ. ალვანის კულტურის სახლში მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გამოყოფილი ფართის რეაბილიტაცია.

3.2.3. სახელოვნებო და მუსიკალური სკოლები.(პროგრამული კოდი 05 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში შემოქმედებითი აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი სახელოვნებო სკოლა ესენია:

- აიპ „სამუსიკო სკოლების გაერთიანება“, რომელსაც აქვს ფილიალები სოფლებში: მატანი, დუისი, ზ. ალვანი, ქვ. ალვანი, სადაც ირიცხება 230-მდე მოსწავლე. სამუსიკო სკოლის მიზანია ეზიარონ ახალგაზრდები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, მოხდეს მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ასევე მოხდეს მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ასევე ხელი შეეწყობა ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას. დაფინანსდება სამუსიკო სკოლების გაერთიანებასთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა“;
- აიპ „ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი სკოლა“, რომელიც ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას, გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას, სკოლაში არის სახელოვნებო წრეები, როგორცაა ხატვის, ჭადრაკის, ცეკვის, თიხის და გამოყენებითი ხელოვნების. სკოლაში ირიცხება 300-მდე ბავშვი. პროგრამაში გათვალისწინებულია უნარშეზღუდული ბავშვების ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მათ მომავალი პროფესიული ცოდნით, რადგან ისინი გარდა ფსიქოლოგიური განტვირთვისა შეისწავლიან რომელიმე პროფესიას, როგორცაა კერვა, ქარგვა, თექის დამზადება, თიხის დამუშავება და ა.შ. რაც მათი შემდგომი დამოუკიდებელი არსებობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ამავე პროგრამაში შესაძლებელია ჩართული იყვნენ დიასახლისები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ დახმარებას და არც საპენსიო ასაკი აქვთ. აქ ისინი განერიდებიან მძიმე სოციალურ პრობლემებს და ასევე შეიძენენ განათლებას, რომელიც შეიძლება



მათი შემოსავლის წყარო გახდეს.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სპორტული სექცია როგორცაა „კრივი“ სადაც მომზადებას გადის 35 ბავშვი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ნიჭიერი შემოქმედების აღმოჩენა-წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;
- გაუმჯობესდება ოჯახების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა;
- მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავება და მეორადი პროფესიის შეძენა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სახელოვნებო კონცერტების, გამოფენების, ადგილობრივი დონისძიებების რაოდენობა;
- ხელოვანთა მიღწევები სხვადასხვა ასპარეზზე და დადებითი გამოხმაურება მედიაში.

3.2.34 ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“ (პროგრამული კოდი 05 02.09)

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია შეადგენს 31434 ჰექტარს და მოიცავს თუშეთის ტერიტორიაზე არსებულ 48 სოფელსა და ნასოფლარს, მათ მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ტყის ნაწილებს, გზებს. პროგრამის მიზანია თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნება, ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა, ასევე ეროზიული გავლენის ზონაში მოხვედრილი ტერიტორიების დაცვა ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველსაყოფად სისტემეტიურად განხორციელდება თუშეთის შიდა გზების რეაბილიტაცია და წმენდა ნაშალისაგან. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და თუშეთში ახორციელებენ ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტებს როგორცაა თუშეთში (სოფელ შენაქოში) სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, ეროზიული ტერიტორიების მართვა-გაკუთვლა, სასოფლო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნება;
- ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა;
- მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ტურიზმისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება.

3.2.5 ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალური ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და გამწვანების სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ტყე-პარკებისა და სასაფლაოების დაცვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება.

3.3. საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05.03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის გახეტი „ბახტრიონი“.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:



- მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის საჭირობოროტო საკითხებზე.
- შედეგების შეფასების ინდიკატორები:
- აქტიური მოსახლეობა.

3.4. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საზოგადოებრივად აქტიური ახალგაზრდობის ზრდა.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1 ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიხედვით განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. პროგრამა მიმართულია მოსახლეობაში ინფექციური და არაინფექციური დაავადებებზე ზედამხედველობის, მათი გავრცელების შემცირების და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის. ინფექციური დაავადებებისაგან მოსახლეობის დაცვის ყველაზე ეფექტური და შედეგზე გათვლილი ღონისძიება არის იმუნიზაცია, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმთავრეს ფუნქციას. ჩვენს რაიონში მეცხოველეობა არის ადამიანთა საქმიანობის მნიშვნელოვანი სფერო, ამიტომ მოსახლეობაში გვხვდება ბრუცელოზის შემთხვევები, რაც საჭიროებს აქტიურ ეპიდზედამხედველობას, ვეტსამსახურის დროულ ჩართვას, ოჯახის წევრების ლაბორატორიულ კვლევას და მკურნალობის დროულ დაწყებას. ახმეტის რაიონში აღარ გვაქვს მალარიის შემთხვევები, მაგრამ არ ვართ დაზღვეული, რომ დაავადებული ადამიანი შემოვიდეს სხვა ქვეყნიდან, სწორედ ამიტომ მალარიის პროგრამა მუშაობს ქვეყანაში და ამასთან ახმეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ფუნქციონირებს ლაბორატორია, სადაც ხდება მალარიის ლაბორატორიული კვლევა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიერ აგრეთვე ხორციელდება აქტიური ზედამხედველობა ტუბერკულოზის ყველა ახლადგამოვლენილ შემთხვევაზე. ერთ ერთი უმთავრესი პროგრამა, რომელიც ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიერ არის ცოფთან ბრძოლის პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება წარმოებს ვეტსამსახურთან აქტიური თანამშრომლობის ფონზე ამასთან ერთად ცოფით დაინფიცირების თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნული დაავადების შესახებ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის კმაყოფილება.

4.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა


